



აქტივების ფინანსური ანალიზი კომერციულ ბანკებში

რეზიუმე

ალექო ჟუთათელაძე

სტუ-ს პროფესორი

E-mail: a.qutateladze@banklabonline.com

ზურაბ ჩხაიძე

სტუ-ს დოქტორანტი

ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანი მოცულობის საინფორმაციო-ანალიტიკური მასალები მოცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერნეტ-ბმულზე (www.nbg.ge).

ზემოთ მითითებული საინფორმაციო მასალების მთავარ მიზანს წარმოადგენს კომერციული ბანკებისთვის დახმარების გაწევა მათი ოპერატიულად ინფორმირების გზით საბანკო სფეროში მიმდინარე რთული მოვლენების შესახებ, ფინანსური მომსახურების ბაზარზე არსებული მდგომარეობისა და საკუთარი ფინანსური მდგომარეობის შეფასების მიზნით სარწმუნო მონაცემების მიღების შესახებ.

მოცემულ ეტაპზე ნებისმიერი კომერციული ბანკის ფულად-საკრედიტო საქმიანობის დრმა ანალიზი შეუძლებელია ანალოგიური ინფორმაციის გარეშე სხვა ბანკებისა და ზოგადად, საბანკო სისტემის შესახებ. ასეთი წყაროები უნდა შეიცავდეს ცნობებს: კომერციული ბანკებისა და მათი ფილიალური ქსელის საერთო რაოდენობის შესახებ; ფინანსური კომპანიებისა და საბანკო ჰოლდინგების შესახებ; საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური ბანკების წარმომადგენლობის, განყოფილებებისა და ფილიალების შესახებ; საბანკო კავშირების, ასოციაციების, კონსორციუმების შესახებ; უცხოეთში საქართველოს ბანკების ფილიალებისა და წარმომადგენლობის შესახებ; საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო კაპიტალის მქონე თანამედროვე კომერციული ბანკების შესახებ და სხვ.

საკვანძო სიტყვები: კომერციული ბანკი, აქტივები, პასივები, აქტივების ხარისხი, ეკონომიკა, პროდუქციის ხარისხი, დეპოზიტები.

პირითაღი ტექსტი

კომერციული ბანკის აქტივების მართვის ხარისხის ანალიზის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაცია:

- გახსნილი ანგარიშების შესახებ;
- კერძო პირების მომსახურების მოცულობის შესახებ;
- ღარსა და ვალუტაში შეტანილ ანაბრე-

ბზე გადახდილი პროცენტების შესახებ;

- კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის აქტიურობის შესახებ;

- ბანკების, კლიენტებისა და კორესპონდენტი ბანკების ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

კომერციული ბანკის აქტივების მართვის ხარისხის შეფასების მთავარ მიმართულებებად შეიძლება, ჩაითვალოს:

- აქტივების მიზანიმიმართულებისა და რაციონალურობის დადგენა;

- აქტივების სტრუქტურის დივერსიფიცირების ხარისხის განსაზღვრა;

- აქტივების რისკიანობის განსაზღვრა;

- აქტივების ლიკვიდურობის განსაზღვრა;

- აქტივების შემოსავლიანობის ანალიზი და განსაზღვრა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკების მუშაობის პირობებზე უშუალო გავლენას ახდენენ სხვა ფინანსური ინსტიტუტებიც, რამდენადაც ოპერაციები კაპიტალის ბაზრისა და სავალუტო ბაზრის ძირითად ფინანსურ ინსტიტუტებთან წარმოადგენს არა მხოლოდ ბანკების შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს, არამედ მათი ფინანსური აღმშენებლობის პატარა ბლოკებსაც, რაც ხორციელდება საპროცენტო რისკებისგან თავდაცვის მიზნით და ასევე, გამოიყენება ლიკვიდობის რისკის აუცილებელი ხარისხის შენარჩუნების მიზნით.

გარდა ამისა, სხვა ფინანსური ინსტიტუტები, კერძოდ, საინვესტიციო ფონდები, სადაზღვევო ფირმები, დეპოზიტორები და სხვა არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები წარმოადგენს კომერციული ბანკების მთავარ კონკურენტებს.

ამჟამად კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობა, როგორც ცნობილია, არ არის პირდაპირპროპორციულად დამოკიდებული საქართველოს საგარეო დავალიანების ზომაზე, დასავლეთის ქვეყნების მიერ საქართველოზე გაცემული ფინანსური დახმარების მოცულო-



ბასა და პირობებზე, რასაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს. მიუხედავად ამისა, საგარეო-ეკონომიკური კომპლექსისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების გავლენა ბანკის საქმიანობაზე საკმაოდ დიდია.

კომერციული ბანკები აუცილებლად უნდა ფლობდნენ ინფორმაციას:

- საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების სისტემისა და მეთოდების შემუშავების შესახებ (ლიცენზიები, გადასახადები, ბაჟები და სხვ.);
- ცენტრალიზებული სავალუტო ფონდების ფორმირებისა და გამოყენების შესახებ;
- ცენტრალიზებული ექსპორტისა და იმპორტის ოპერაციების მოცულობის შესახებ;
- ქვეყანაში ოქრო-ვალუტის რეზერვების მდგომარეობის შესახებ;
- საერთაშორისო სავალუტო ორგანიზაციებისა და ბანკების (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, პარიზის კლუბი, ლონდონის კლუბი და სხვ.) მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

ინფორმაციის ზემოთ მითითებული წყაროებიდან კომერციული ბანკის აქტივების ხარისხისა და ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ინფორმაცია ანგარიშების შესახებ, რომელიც ასახავს ბანკის კლიენტების, უპირველესად კი - მსესხებლების მდგომარეობას. ამიტომ ფინანსური ანგარიშები და სხვა ცნობები, რომლებიც ეხება ბანკის კლიენტების კრედიტუნარიანობას, გამოიყენება მრავალი სხვადასხვა საკითხის გადასაჭრელად, როგორიცაა:

- სასესხო აქტივების შემადგენლობის, სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი;
- გაცემული სესხების ხარისხის მათი გაცემის სასწრაფოობაზე დამოკიდებულების შეფასება;
- მსესხებლების კრედიტუნარიანობის შესწავლა;
- აქტივების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი და სხვ.

ამიტომ, ფინანსური ანგარიშები და სხვა მონაცემები ბანკის კლიენტების კრედიტუნარიანობის შესახებ განეკუთვნება ინფორმაციის ყველაზე სარწმუნო წყაროთა რიცხვს, რომლებიც გამოიყენება აქტივების ხარისხის მართვის შეფასებისა და მათი შემოსავლიანობისა და ლიკვიდობის ხარისხის განსაზღვრის პროცესში.

დღესდღეობით ინფორმაციის გაცემის ყველაზე პერსპექტიული საშუალება, უდავოდ, ციფრული კომპიუტერული ქსელებია. ფაქტობრივად, ინტერნეტი იძლევა მეისიერი წვდომის საშუალებას უზამრავარი მოცულობის მრავალფეროვან ინფორმაციაზე. თუმცა, ასეთი ინფორმაცია არ არის საკმარისი და ყოველთვის მისი გამოყენება საბანკო სისტემის აქტივების ხარისხის ანალიზის მიზნით შეუძლებელია.

კომერციულ ბანკებში აქტივების ფინანსური ანალიზისა და ხარისხის შეფასების მიზნით ასევე, შესაძლებელია მიმდინარე სამეცნიერო კვლევების და საკონფერენციო და სასემინარო მოხსენებების მონაცემების გამოყენება.

ამგვარად, საბანკო საქმიანობის ანალიზის მიზნით გამოყენებული ინფორმაციის წყაროები მრავალფეროვანია, მაგრამ აქტივების ფინანსური ანალიზისა და ხარისხის შეფასებისთვის საჭირო საინფორმაციო ბაზის ძირითად მდგენელად კვლავაც შიდა ინფორმაციის წყაროები გვევლინება. თუ რამდენად სამართლიანია ეს მოსაზრება, განვიხილოთ ფასიანი ქაღალდების ემისიის, ბანკის ოფიციალური ანგარიშებისა და საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშების შესახებ დაგროვილი ინფორმაციის მაგალითზე. მაგალითად, ემისიის შესაძლებლობების ამსახველი მასალებიდან შეიძლება, მივიღოთ ინფორმაცია:

- ბანკის აქციონერთა რაოდენობის შესახებ;
 - სამეთვალყურეო საბჭოს რაოდენობრივი შემადგენლობისა და პერსონალის შესახებ;
 - მართვის აღმასრულებელი ორგანოს სტრუქტურის შესახებ;
 - ფილიალების, განყოფილებებისა და წარმომადგენლობის რაოდენობის შესახებ.
- რაც შეეხება ბანკის ფინანსური მდგომარეობის, აქტივების ხარისხისა და ლიკვიდობის შეფასებას, ამ მიზნით ფართოდ გამოიყენება:
- მოგება-წაგების ბალანსები და ანგარიშები;
 - ანგარიშები ბანკის მოგების გამოყენების შესახებ;
 - ანგარიშები სარეზერვო ფონდის სახსრების ფორმირებისა და გამოყენების შესახებ;
 - ცნობები გადავადებული დავალიანების მოცულობის, კრედიტორებისა და ბიუჯეტში გადახდების შესახებ;
 - ცნობები სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების მიერ ბანკზე უკანასკნელი 3-5 წლის მანძილზე დაკისრებული სანქციების შესახებ;
 - ეკონომიკური ნორმატივების ანგარიშიან-



ობა;

- ანგარიშები საწესდებო ფონდის მოძრაობის შესახებ;

- ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვიანობა.

საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით ბანკებმა უპირველეს ყოვლისა, უნდა გააუმჯობესონ აქტივებისა და პასივების მართვა, განავითარონ შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა და კლიენტის მომსახურების სისტემა, გააუმჯობესონ ფინანსურ-ანალიტიკური სამსახურის მუშაობა და მოახდინონ მისი ოპტიმიზაცია.

აქტივების მართვის ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მიზნით აუცილებელია შესაბამისი თეორიული ფუნდამენტი. ამიტომ პირველ რიგში, უნდა დაზუსტდეს ცნებითი კატეგორია „საბანკო აქტივები“, რამდენადაც ეს ცნება ჩვენის აზრით, არ არის საკმარისად დამუშავებული და შინაარსობრივად გახსნილი.

უცხოურ ლიტერატურაში საბანკო აქტივების ცნებასა და ბუნებას ყურადღება ეთმობა ასევე, ბალანსის დახასიათებისას, რომელიც „მომენტალური სურათის მსგავსად, იძლევა აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შეფასების საშუალებას დროის კონკრეტულ მომენტში“. პიტერ როუზს აქტივების ცნების ინტერპრეტირებისას მოჰყავს ბალანსის შემდეგი საწყისი განტოლება:

აქტივები = პასივები + სააქციო კაპიტალი

„პასივები და სააქციო კაპიტალი - წარმოადგენს სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ერთობლივ სახსრებს, რომლებიც უზრუნველყოფს ბანკის მიერ აქტივების შესაძენად საჭირო მყიდველობით უნარს. ბანკის აქტივები წარმოადგენს სახსრების ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება აქციონერების მიერ შემოსავლების მიღების, მეანაბრებისათვის პროცენტების გადახდისა და თანამშრომლების შრომის ანაზღაურების მიზნით, მათი ანაბრებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად“.

ბანკის აქტივების შედგენიანობის დახასიათებისას ზოგადად შეიძლება, ითქვას, რომ შედგენიანობა გამოიხატება განსაზღვრული სუბიექტების საბოლოო და შუალედური მიზნების მიღწევაში, კერძოდ:

- ბანკის საქმიანობის შენარჩუნება მისი ლიკვიდობის შენარჩუნების გზით და ბანკის ზრდა მისი შემოსავლიანობის უზრუნველყოფის გზით;

- აქციონერებისა და მეანაბრების მიერ ოპტიმალური შემოსავლების მიღება;

- კლიენტების კომპლექსური და ხარისხ-

იანი მომსახურება;

- ბანკის თანამშრომლების შრომის ანაზღაურების სათანადო დონის უზრუნველყოფა შრომის დანახარჯებისა და ხარისხის შესაბამისად.

რაც შეეხება აქტივებს ბანკის ბალანსში, რომლებიც ასახავს სახსრების განთავსებას ნაშთის სახით დროის განსაზღვრულ პერიოდში, მთავარი მიზნის მიღწევა გამოიხატება შემდეგში:

- ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნება, როგორც მისი თვითგადარჩენის გარანტია;

- შემოსავლის მიღება ბანკის ეკონომიკური ზრდისა და აქციონერებისთვის, მეანაბრებისა და ბანკის თანამშრომლებისთვის ოპტიმალური ანაზღაურების გაცემის მიზნით;

- კლიენტების კომპლექსური მომსახურება.

აქტიური ოპერაციების გაგებასთან დაკავშირებით დიდი მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელი გახდა მოცემული კატეგორიის ცნების თავისებურებების გამოყოფა:

- აქტიური ოპერაციები ბუღალტრულ ასპექტში - ეს არის დინამიკური პროცესი, რომელიც აისახება სახსრების ნაკადის სახით და გარკვეულ მომენტში ფიქსირდება აქტივების ნაშთის სახით;

- აქტიური ოპერაციები, გარდაქმნის რა აქტივებს პასივებად, შუამავლის როლს ასრულებს მათ შორის;

- აქტიური ოპერაციები მათგან ნაწარმოებ აქტივებთან დაკავშირებით მართვის სისტემის როლს ასრულებს;

- აქტიური ოპერაციების შედეგიანობა გამოიხატება იმავე ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც დასმულია აქტივების წინაშე.

ამგვარად, აქტიური ოპერაციების შესახებ არსებული მოსაზრებებისა და მსჯელობის განზოგადების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ აქტიური ოპერაციები წარმოადგენს არა მხოლოდ ფულად ნაკადს, არამედ პასივების აქტივებად გარდაქმნის მთელ პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის მოგების დინამიკურ ზრდასა და მისი ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებას.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული აქტივებისა და აქტიური ოპერაციების ცნებებს ძირითადად ბუღალტრული ინტერპრეტაცია გააჩნია. საბანკო აქტივების მართვისადმი მიდგომების გაგების მიზნით საჭიროა ბანკის აქტივების ეკონომიკური განმარტებაც.

თუ პირველ შემთხვევაში რესურსები განიმარტებოდა, როგორც პასივების მუხლების არით-



მეტიკული ჯამი, გამომდინარე მათი „ფიზიკური“ ფორმიდან ბანკთაშორისი კრედიტების, დეპოზიტებისა და სხვ. სახით, მეორე შემთხვევაში უნდა დავეყრდნოთ ცნებას, რომლის მიხედვითაც აქტივები, როგორც იმ ფულადი სახსრების საბანკო პროდუქტი, მიმართულია ეკონომიკის დარგების დაკრედიტებასა და ინვესტირებაზე.

ამგვარად, „საბანკო აქტივების“ დაზუსტებული ცნებითი კატეგორიისა და აქტივების ხარისხის შეფასებისთვის საჭირო შიდა და გარეშე ინფორმაციის წყაროებით მოცემული ამომწურავი ცნობებისა და მასალების არსებობის შემთხვევაში აუცილებელია მაჩვენებელთა გარკვეული სისტემის არსებობაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი ვლ., ცაავა გ. – კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი - თეორია, მეთოდები და პრაქტიკა. თბილისი გამომცემლობა „დანი“ .2014, - 500 გვ.
2. ელიავა ლ. – საბანკო კრიზისების პროგნოზირება. გამომც. „დარბეგი“, 2013 – 403 გვ.
3. ცაავა გ. – ფინანსური ინჟინერია, ლექციების კურსი – თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013 – 665 გვ.

ბის კურსი – თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013 – 665 გვ.

4. ხანთაძე გ. ცაავა გ. – საბანკო ოპერაციები (სახელმძღვანელო). თბილისი გამომცემლობა „დანი“, 2012, 400 გვ.

5. Щегорцев В Л., Таран В.А. Деньги, кредит, банки: учебник для вузов/ под ред. проф. В.А Щегорцева. -М-ЮНИТИ-ДАНЛ,2005 -223с.

FINANCIAL ANALYSIS OF THE COMMERCIAL BANK ASSETS

ALEKO KUTATELADZE, GTU Professor
E-mail: a.qutateladze@banklabonline.com
ZURAB CHKHAIDZE, GTU Doctoral Student

Summary

In terms of current development of e-technologies, a great volume of information-analytical material can be found on e-link of the National Bank of Georgia (www.nbg.ge).

The main purpose of the above-said information is to help commercial banks by urgently informing them of the reliable data about the complex events in the field of banking needed to assess the current situation on the financial service market and their own financial state.

At the given stage, no deep analysis of any commercial bank is possible without the similar information about other banks and banking system in general. Such sources must contain the data about the total number of commercial banks and networks of their branches; financial companies and banking holding companies; representatives, departments and branches of foreign banks on the territory of Georgia; bank unions, associations and consortiums; branches and representations of Georgian banks abroad; modern commercial banks with international capital on the territory of Georgia, etc.